



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 232

ქალაქი ქუთაისი                      30                      დეკემბერი                      2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების – ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დატაკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დატაკომის“ დირექტორის 26.11.2015 წლის N13454/01 მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დატაკომისათვის“ /ს/კ 412706362/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, 15 /თხუთმეტი/ წლის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების – ხაზოვანი ნაგებობების /გარე განათების კონსტრუქციები/ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის, დანართის შესაბამისად.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 14.02.2015 წლის N68 ხელშეკრულებით გამარჯვებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის“ მიერ დადებული 02.04.2015 წლის N255 დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 1000.0 (ათასი) ლარს.

**მუხლი 3.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დატაკომმა“ /ს/კ 412706362/ სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.

**მუხლი 4.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დატაკომმა“ /ს/კ 412706362/ ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მისივე ხარჯებით, სარგებლობაში გადაცემული ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციების) გათავისუფლება მათ საკუთრებაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისაგან.

**მუხლი 5.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 6.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დატაკომისათვის“  
 პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, სარგებლობაში  
 გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში  
 არსებული ქონების – ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების  
 კონსტრუქციები) ნუსხა

N	მისამართი	სარგებლობაში გადასაცემი ბოძების რაოდენობა	საკადასტრო კოდის N
1.	ირ. აბაშიძის გამზირი (მარცხენა მხარე)	42	03.00.046
2.	თაბუკაშვილის ქუჩა (მარცხენა მხარე)	89	03.00.051
3.	9 აპრილის ქუჩა (მარჯვენა მხარე)	29	03.00.062
4.	ილ. ჭავჭავაძის გამზირი (მარჯვენა მხარე)	46	03.00.073
5.	ავტომშენებლის ქუჩა (მარჯვენა მხარე)	122	03.00.089
6.	რუსთაველის გამზირი (მარცხენა მხარე)	8	03.00.075
	სულ ჯამი:	336	

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი